№ 263 22 დეკემბერი, პარასკევი 1866—1878 22 დეკემბერი, პარასკევი № 263

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадловъ-ის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиро ღოვის სახლებში, 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის საფერშლო შკოლაში წელს რამდენსამე ყმაწვილს შეუსრულებია სწავლა და ამათში თითქმის ნახევრამდინ ქართველები ურევიანო. როგორც ისმის, ამათ ძალიან კარგათ აქვსთ ფერშლობა შესწავლული.

*** აქაურს საქალებო სასწავლებელ ინსტიტუტში და წმ. ნინოს სასწავლებელში, როგორც გვაცნობებენ, ქართულის ენის სწავლა ძალიან ცუდათ მიდის. მიზეზს იმას ამბობენ, რომ გაკვეთილები ცოტა არისო და ამას გარდა თვითონ მთავრობა ამ ენის სწავლას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევსო.

ამიტომაც არის, რომ ამ სასწავლებლებიდამ გამოსული ჩვენი ახალგაზდა დედები თითქო არც რუსები არიან და არც ქართველები; ორივე ენას ამტკრევენ, თუმცა ძალიან გულით უნდათ, რომ წმინდა რუსული ილაპარაკონ...

ამიტომაც არის აგრეთვე, რომ ამგვარ დედებისაგან გამოზრდილი შვილები, იმათ-და საუბედუროთ, ასე გულაცურებითა და ისე აგდებულად უყურებენ თავიანთ სამშობლო ენის შესწავლასა..

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ბ. თუმანოვის „ალმანახი" (მეორე წიგნი) წელსაც იბეჭდება და პირველ იანვრისათვის გამოვაო.

*** ნუხიდამ გვწერენ, რომ შემდეგ დიდი ხნის დარებისა 13 ქრისტეშობისთვეს ნუხის ახლო-მახლო მთები დაუთოვლია. სამის დღის წინათ, ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ნუხაში ნუშის ხეები ჰყვაოდნენ.

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, რომ 27 ქრისტეშობისთვეს იქაურმა ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲛ უნდა ᲐᲛᲝᲘᲠᲩᲘᲝᲡ ახალი ᲗᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ. მოგეხსენებათ, რომ დღემდინ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ მთავრობისაგან იყო დანიშნული.

*** შევიტყეთ, რომ ᲘᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ სოფ. საგარეჯოს გარდაუწყვეტია, რომ თავის ხარჯით დაიქირავონ სოფლისათვის ექიმი და ამასთანავე გამართონ აგრეთვე აფთიაქიც. ექიმს, როგორც ამბობენ, სოფელი ათას მანეთზე მეტს აძლევს წელიწადში ჯამაგირს.

ეს პირველი მაგალითია ჩვენში, რომ სოფელი თავისათვის ცალკე ექიმს ქირაობს.

*** ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ამ უფლის სოფელს ᲫᲔᲛᲝ-ᲮᲝᲓᲐᲨᲘᲜᲨᲘ ამას წინათ დაკარგულა მამასახლისი! ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ მთავრობას იმის საძებნელად გაუგზავნია პრისტავი თ. Ი. Ვ—ძე. ᲐᲛ დროს ხსენებულ სოფელში ერთი აზნაურის ქორწილი ყოფილა, რომელზედაც ეს პრისტავიც დაუპატიჟნიათ. საუბედუროთ, უფ. პრისტავი ისეთ ნაირად გამომთვრალა ამ ქორწილზე, რომ არათუ მამასახლისი, თავის-თავიც საძებნელად შექმნია...

*** ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ სახალხო შკოლები იქითკენ ძალიან კარგათ მიდისო, ამ ქამად ექვსი თუ შვიდი შკოლა არისო, ოთხი ამ მოკლე ხანში გაიხსნაო და ყველა შკოლებში შაგირდები ბლომად დაიარებიანო; სხვათა შორის მეტეხის სასოფლო შკოლაში სამოცამდინ შაგირდიაო, ᲒᲝᲛᲨᲘ ოც-და-ათამდინ და სხვ. როგორც გვწერენ, იქაური ხალხი ძალიან ემადლიერება თავის

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲦᲐᲛ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ
ᲡᲮᲘᲕ - ᲛᲝᲛᲤᲘᲜᲐᲠᲔ
ᲕᲜᲐᲮᲔ ᲚᲣᲠᲯ ᲪᲐᲖᲔᲓ ᲛᲝᲜᲐᲠᲜᲐᲠᲝᲑᲓᲐ.
ᲔᲛᲮᲘᲗ ᲛᲒᲖᲔᲑᲐᲠᲔ,
ᲘᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔ
ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲡᲐ.... ᲒᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲝᲑᲓᲐ!

—

ᲓᲘᲓ ᲮᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲮᲐᲜᲡ
ᲘᲛ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ
ᲛᲔ ᲨᲔᲕᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ ᲡᲣᲚ-ᲒᲐᲜᲐᲑᲣᲚᲘ.
ᲐᲛ ᲡᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲢᲐᲜᲡ
ᲭᲠᲭᲝᲚᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲐᲛᲢᲐᲜᲡ,
ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ ᲫᲒᲔᲠᲘᲗᲐ ᲒᲣᲚᲘ...

—

ᲑᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲡ,
ᲨᲘᲥᲠᲘᲗ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲣᲚᲡ,
ᲐᲠ ᲛᲔᲢᲧᲣᲝᲑᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲝᲑᲐ.
ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲡ
ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ,
ᲨᲔᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲛᲩᲜᲓᲐ ᲛᲐᲪᲓᲣᲠᲣᲠᲔᲑᲐ!

—

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲥᲐᲛᲡ,
ᲡᲘᲢᲧᲑᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲡ
ᲘᲒᲘᲕ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ ᲛᲔᲜᲐᲦᲕᲔᲚ-ᲫᲛᲐᲠᲐ;
ᲡᲣᲚᲡ ᲐᲬᲕᲔᲗᲔᲑᲡ ᲨᲮᲐᲛᲡ
ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲘᲗ ᲛᲘᲬᲕᲐᲛᲡ,
ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲛᲐᲠᲐᲓ ᲐᲦ ᲛᲘᲔᲤᲐᲠᲐ.

—

ᲒᲐᲜᲥᲠᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ,
ᲐᲨᲮᲐᲛᲓᲐ ᲕᲜᲔᲑᲐ,
ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲪ ᲒᲐᲥᲠᲔᲡ!.. ᲠᲐᲦᲐᲡ ᲛᲝᲕᲔᲚᲘ,
ᲗᲣ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ
ᲐᲦᲐᲠ ᲛᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ,
ᲨᲘᲒᲜᲘᲕ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲑᲜᲔᲚᲘ!..

ᲐᲙᲐᲙᲘ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 1775 წ., 28 ნოემბერს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲛ

—

ᲛᲔ ᲘᲛ ᲦᲦᲔᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" № 250-ᲨᲘ დამრჩა შესათაებელი ᲙᲕᲘᲜᲢᲘ-ᲙᲣᲠᲪᲘᲡ აღწერილებისა, რომელიც შეუდგენს ამ რიგად:

„ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲦᲦᲔᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲐ... ᲕᲘᲠᲙᲐᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲐᲛᲐᲖᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲗᲔᲛᲘᲠ-ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ-ᲕᲔᲚᲖᲔᲓᲐ, ᲗᲔᲠᲛᲝᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲗ ᲒᲐᲦᲛᲐ-ᲒᲐᲛᲝᲦᲛᲘᲗ.

„ᲐᲛᲐᲗ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲚᲔᲡᲢᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ᲛᲗᲘᲓᲒᲐᲜ ᲤᲐᲡᲘᲡ (ᲠᲘᲝᲜᲘᲡ) ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡᲛᲓᲘᲡ. ᲐᲛᲐᲜ ᲐᲦᲛᲝᲩᲐᲩᲘᲜᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲗᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲐᲬᲘᲐ ᲨᲠᲓᲝᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲨᲘᲙᲠᲘᲙᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲡᲐ. ᲠᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲔᲚᲘᲡᲐ, ᲛᲘᲘᲡᲬᲠᲐᲤᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲚᲘᲚ ᲐᲛᲐᲖᲝᲜᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲐᲡᲘᲝᲛᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲐᲑᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲘᲥᲐᲕᲔ ᲨᲝᲠᲘ-ᲐᲑᲚᲝᲚᲓ ᲛᲝᲔᲪᲐᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

„ᲠᲝᲪᲐ ᲘᲮᲘᲚᲐ ᲨᲝᲠᲘᲗᲒᲐᲜ ᲛᲔᲤᲔ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲠᲓᲛᲝᲮᲢᲐ ᲑᲔᲓᲐᲣᲠᲘᲗᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲓ ᲬᲐᲠᲕᲘᲓᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲓ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲔᲪᲧᲠᲐ ᲝᲠᲘ ᲨᲣᲑᲘ, ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲜᲐᲝᲭᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲑᲔᲑᲘ ᲐᲪᲕᲘᲐᲗ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲐᲛᲓᲘᲡ; ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲘᲙᲐᲚᲗᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲘᲡ; ᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲘ

შკოლების მასწავლებლებს, განსაკუთრებით სოფ. ზომისას უფ. კიფშიძეს და სხვებსაც.

მაგრამ ქართლში ბევრი დიდი სოფლებიც არიან, რომელთაც ჯერ კიდევ შკოლა არ გაუმართავთ.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ ერთი მღვდელი გაულახავთ სალდათებს. ერთი ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ სალდათები მთვრალები იყვნენ, წაეჩხუბნენ ღამე და სცემესო; მეორე კი გვარწმუნებს, რომ თვითონ სულიერი მამა ბრძანდებოდა გადაკრულიო...

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 8 დეკემბერს. ყველამ იცის, რომ ბერლინის ტრაკტატის ძალით, ბათუმი შეიქნა თავისუფალ ქალაქად ყველა სახელმწიფოის ხალხისათვის, ესე იგი პორტო—ფრანკოთ.

ყველას უფლება აქვს, რომ შემდეგ პორტოფრანკოს დაფუძნებისა ბათუმის ქალაქში და დამოჟნის მოქმედების დაწესებისა ყოველივე საქონელი სამზღვარს გარედამ და სხვა და სხვა მასალეები უბაჟოთ შამოიტანოს.

მხოლოდ ქ. ბათუმიდამ არავის ვაჭართაგანს და მცხოვრებლებს არ შეუძლიან, რომ ერთი მანეთის სღირალი: ფარჩეულობა და სხვ. დამოჟნიდამ უბაჟოთ გაიტანოს; ყველა ალაგზედ, სადაც კი საჭირო არის „ობიეზდჩიკები“ არიან დაყენებული მისთვის, რომ კაცმა არაფერი გაიტანოსო უბაჟოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ვინმეს ერთის მანეთის ღირებული ნივთის მეტი უნახეს და დაიჭირეს, კონტრაბანდათ ჩასთვლიან, დაიჭერენ კიდეცა და კანონის ძალით პასუხს აგებინებენ......

ახლა თქვენ უნდა წარმოადგინოთ ამ ახალ-შეძენილი მცხოვრებლების მდგომარეობა: როგორც მოგეხსენებათ, ბათუმი ამ ახალ შეძენილი ქვეყნის დედაქალაქათ ყოფილა, არის და იქნება კიდეც. აქაური მცხოვრებლები, ახალშეძენილი მოძმეები ოსმალო საქართველო ისა: ქაბულეთელნი, აჭარელნი, ჩაქველნი, მაჭახელნი, ართვინელნი და ჭოროხელნი და სხვანი მრავალნი ამ ქალაქში მოდიან.

ამათ მოაქვთ აქ თავიანთი ნაშრომი: ბრინჯი, კართოფილი, სიმინდი, პური, რომელიც იშვიათად მოდის ამ ზემო აწერილს სოფლებში; ხეხილები: ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ჩურჩხელა და სხვ. და ყიდიან. ნაცვლად ამისა ეს ხალხნი ყიდულობენ თავის ოჯახის საჭიროებისათვის: ჩითს, მაუდს, ტანთსაცმელს, ჩაის, შაქარს, სასმელს და სხვა.

მაგრამ არავინ არ გაატანს უბაჟოთ, ყარაულები არის დამოჟნისა ყოველგან დაყენებული; თუ გინდ ერთი არშინი ჩითი იყოს, ან ერთი ბოთლი არაყი, უბაჟოთ ნურავინ ირჯება, რომ გაიტანოს. დამოჟნაშიც უნდა მიიტანოს და დაობაჟვინოს; ბაჟი სულ ოქროთი და ვერცხლით უნდა მისცეს, რადგანაც ქალალდს არ იღებენ დამოჟნაში.

თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ახლა ოსმალოს საქართველოს მცხოვრებლებთა მდგომარეობა: ეს ხალხი უმისოთაც ღარიბი ყოფილა, მაგრამ ამ ომიანობას სულ დაუღარიბებია და დაუქცევია, რადგანაც ისინი ყველანი თოფით ყოფილან ლაშქარში.

ვინ მისცა საწყალ ღარიბს დაოხრებულს ხალხს ოქრო და ვერცხლის მანეთი ბაჟის მისაცემად? ეს შეწუხება და შევიწროება არის ამ ახალი შეძენილი მცხოვრებლებისა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა ამ გარემოებას მიაქცევს ჯეროვანს ყურადღებასა....

N.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლის გაზეთებში იწერებიან, რომ, რადგან ოსმალეთს დაეკარგა იმედი, ინგლისის საშუალებით, სასესხებელ ფულების შოვნისა, ამის გამო პორტას ახლა სხვა ქვეყნების ბანკირებთანა აქვს ამ საგნის თაობაზედ მოლაპარაკებაო.

—„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია კვიპრიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისისა და ოსმალეთის მთავრობა მორიგდნენ ერთმანეთში იმ უძრავი ქონებისა და სამხედრო მასალების თაობაზედ, რომელიც ოსმალეთს

შიშველი აქვსთ, ამ ცალ ძუძუს ინახვენ ჩჩვილთ საზრდელად და მარჯვენა ძუძუს კი იდაღვენ შვილდ-ისრით მარჯვედ ხმარებისათვის.

„თალესტრიმ უშიშრად უწყო ჭვრეტა მეფესა, თვალთ თვალში ავლებდა და ბუტბუტებდა:

„—არ ჰქონია საიმისო მოწიფული შესახედაობა ევრედ, როგორც საქმეს უქებენო..“

„როცა ჰკითხეს:

„—რა გაქვს სათხოვარი, რა გნებავსთო? გამოტყდა და აღიარა:

„—ბულით მეფესთან სტუმრობა მწადს; მეფეა და დედოფალი ვარ... რაც შემეძინება, წული მეფეს ეკუთნის და ასული კი ჩემი იქნება!..

„დაშთა ათსამეტი დღე და მერმე ის თავის სამეფოში მიბრუნდა და მეფე პართებისაკენ...

იქითგან გამოვლო, მოვიდა მხედრობით კავკასის მთასა. ამ მთის ქედი თავის წაგრძელებულის უღელტეხილებით ჰყოფს აზიასა... ათშვიდმეტ დღეზედ გარდაველო კავკასიის მთა. კლდიანი ღელღელუდა მთისა გარემოს ათი უტევანი იყო და სიმაღლე ოთხი უტევანი, სადაც ამბობდნენ უწინდელნი, როგორც თუ აქ მიბმულ იყოს პრომეტეო გმირი. მთის ძირში ამოარჩია მეფემ საქალაქო ადგილი, მისცა თორმეტ ათას მაკედონელ მოხუცთ, მოტეხილთ თუ დაშავებულთა, გაეშენათ ახალი ქალაქი და ეწოდათ მისთვისაც ალექსანდრია.“

ამით ათავებს კვინტი კურცი დიდი ალექსანდრეს მოსვლა-მფლობელობასა საქართველოში. აქ ჩვენის ისტორიის შესახებ ორი რამე გამოსადეგია: ერთი ამაზონთ დედოფლის მფლობელობა კავკასიით ფასის მდინარემდის და იქითგან მბრძანებლობა სინობის მხარეებზედ. მეორე ტიპურელთ მთავარმმართველი ფროტათოს განვლენა მთელს საქართველოსა და თვით ალექსანდრე მაკედონელზედაცა, რომ სადაც მოწინააღმდეგეთ იმონავებს, ფროტათს (მირდატს) აბრის.

ჩვენი „ქართლის ცხოვრებაც“ ალაგალაგ ეთანხმება ამ ჩემს მოყვანილ კვინტი-კურცის ფაქტებს; გარდა მისსა, რაც გარყვნილია სომხებისა და პარსებისაგან, ის ხომ არ არის გამოსადეგი არაფერში.

„და ჰპოვნა (ალექსანდრემ) ციხე-ქალაქნი ძლიერნი შუა ქართლისა: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, ოძრხე, თუხარისი (ართანუჯი), ურბნისი, კასპი, უფლის-ციხე, ქალაქი მცხეთა... და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი უცხო ტომნი ქართლს მყოფნი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაადგინა მათ ზედა პატრიაკად აზონ ძე იარედისი ნათესავი მისი ქვეყნით მაკედონიით და მისცა ასი (ათი) ათასი კაცი ქვეყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროთატოს. ესე ფროთატოსელნი იყვნენ კაცნი ძლიერნი და მხნენი; ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა. „ქართ. ცხოვ.“ 26—27 გვერდსა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფროთატო აზონად გამოდის და ფროთათოსელნი მაკედონელებად.

ხოლო მსოფლიო ისტორია ფროთატოს (მწე, მხარს) ბმირდატად ხსნის, ფროთატოსელადაც შთებიან მისი ქვეყნის მეომნი: მესხ-ქართველნი, კლარჯნი და მისთანანი. რაც შეეხება ჩვენს „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ კაცისა, მკვდრისა მჭამლობას და მისთანა რიგ გარედ სისაძაგლეს, უთუოდ მისთანები შემდგომ ჩართულია საქრისტიანო მოძღვარების გამავრცელებელ სასულიერო პირთაგან, რომ მაშინდელი და მომავალი ერისთვის ღრმად შთაენერგათ დიდი სიმძულვარე კერპთ-მსახურებაზედა..

ეს მირდატ ბ განუდგა პარსთ მეფესა, როგორც მსოფლიო ისტორია გვაჩვენებს და დიდ ალექსანდრე მაკედონელს თავის ძებისად დაემორჩილა; იმისთვის თავისი სამეფო მრთლად მიიღო. ასე ამბობს იქვე კვინტი კურციცა. დიდი ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომაც შეურყევლად შეინახა ყოველი. ანტიგონოს თვალმა არ გაუტანა მირდატის ასრე გაძლიერება საქართველოში; მით თავისთვის მოინდომა; მირდატმაც არ

ეკუთვნის ამ კუნძულზედაო; ინგლისმა ყველა ეს ქონება უნდა იყიდოს ოსმალეთისიგან.

—ამავე გაზეთში მოყვანილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომლის ავტორი ამბობს, რომ ალექსანდრეტტის ნავსადგურის დათმობის თაობაზედ ინგლისისა და ოსმალეთის მთავრობას შუა ჯერ-ჯერობით არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილაო.

— აქაურს სომხურს გაზეთს „მშაკში“ არზრუმიდამ იწერებიან, რომ მცირე აზიაში დაიარებიან ინგლისელი მისიონერები და ცდილობენო, რომ აქაურს სომხებს თავის სარწმუნოება მიაღებინონო. ამის გამო, ხსენებული გაზეთის სიტყვით, სომხის პატრიარქები, ამ მქადაგებლების საწინააღმდეგოდ, არზრუმში, მუშში, და ვანში ტიპოგრაფიების დაარსებასა და სომხური გაზეთების მომატებას აპირებენო.

ბოლგარია

რუსულს გაზეთს „რუსსკი პრავდაში“ იწერებიან, რომ რუსეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს მიუღია პროეკტი მომავალ ბოლგარიის სამთავროს კონსტიტუციისა. ხსენებულ სამინისტროს ეს პროეკტი პეტერბურღის უნივერსიტეტის ერთის პროფესორისთვის (ბრადოკსკისათვის) გარდაუცია განსახილველად და თავის შენიშვნების გასაკეთებლად. ეს პროექტი, ამბობენ, ბოლგარიის რუსის კომისარს თ. დანდუკოვ-ბარსაკოეს შეუდგენია სერბიისა და რუმინიის კონსტიტუციის მიმსგავსებით.

შვეიცარია

ჟენევიდამ იწერებიან ფრანცუზულს გაზეთებში, რომ შვეიცარიის უმაღლესი მთავრობის (საკავშირო რჩევის) განკარგულებით, ამ ქალაქში აუკრძალავთ გაზეთი „ავანგარდი“, რომელსაც ფრანცუზს რეოლიუციონერები (კომუნარები) სცემდნენ.

თუ არ ვსცდებით, ეს პირველი შემთხვევაა, რომ შვეიცარიის რესპუბლიკაში გაზეთი აუკრძალავთ. როგორც მოგეხსენებათ, იქ სრული თავისუფლებაა ბეჭდვისა: ვისაც ოაც ჰაურს და რაც უნდა, იმას სწერს და ბეჭდავს.

საფრანგეთი

ამას წინათ ერთს საზოგადო კრებაზედ პარიჟში ბამბეტტამ წარმოსთქვა სიტყვა, რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი ალაგი.

„ამ ჟამად უპირველესი ჩვენი მოვალეობა ის უნდა იყოს, რომ ჩვენს საზოგადო საქმეებზედ, ჩვენს რესპუბლიკაზე ვიზრუნოთ. ჩვენ არ გვინდა სამზღვარ გარეთ გავიტანოთ ჩვენი თეორიები. ჩვენ არა ვართ ვალდებულნი მთელი ქვეყნის მაგიერად ვიფიქროთ და ვიშრომოთ. ვეცადოთ, რომ საუკეთესო, სამაგალითო მმართებლობა გავაჩინოთ ჩვენში, ისეთი მმართებლობა, რომ საფრანგეთისათვის და ფრანცუზებისათვის იყოს კარგი და გამოსადეგი, და მერწმუნეთ, რომ ეს არც მთელი ქვეყნისათვის იქნება უნამყოფო“.

რუსეთი

მოსკოვის უნივერსიტეტშიაც ყოფილისეთივე არეულობა სტუდენტებისა, რომელიც მოხდა ამ დღეებში პეტერბურღის უნივერსიტეტში, მედიკო-ხირურგიის აკადემიაში და ხარკოვის ვეტერინალურ ინსტიტუტში. მაგრამ აქ უფრო მალე და მშვიდობიანადაც გათავებულა საქმე, რადგან ისეთი სტუდენტები აღმოჩენილან რომელთაც თავიანთ ამხანაგებისათვის დაუშლიათ კრებას შედგენა და საზოგადოთ უნივერსიტეტის წესდებას დარღვევა.

—გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილი ქიევიდამ 12 დეკემბერს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ამ-გვარავე უწესობა იქაურ უნივერსიტეტის სტუდენტებსაც. მოუხდენიათ. აი ეს დეპეშა:

„თუმცა ქიევას უნივერსიტეტი, უქმეების გამო, დაკეტილი იყო, მაგრამ სტუდენტები ძალით შეეიდნენ უნივერსიტეტში იმ განზრახვით, რომ კრება მოეხდინათ, რომ თავიანთ მდგომარეობაზე და პეტერბურღელ ამხანაგების თაობაზედ მოულაპარაკნიათ. მაგრამ მთავრობამ მალე დაადგინა წესიერება“.

დაუთმო და მოუვიდათ რამდენჯერმე ძლიერი ომი; გარნა მირდატმან სრულიად დაამარცხა და დაუმოკიდებელ ჰყო თავისი სამფლობელო ბერძნებისაგან.

ბარდა ამისა მირდატებმა ისარგებლეს ასორების სამთავროს დაცემითაცა; თავის მოსაზღვრე პონტის ქვეყნები სრულიმათ დაშთათ და განდიდდნენ იქამდის, ვიდრე ხ მირტად მეპატორი (124—63) გაუმკლავდა რომაელებსა და რამდენჯერმე გასდევნა ასიდგან და შავის ზღვითგანაც. თუ ბერძნებს და სომხებს არ ეღალატნათ, უეჭველად ბოლოს მოუღებდა რომაელების მფლობელობასა ასიაში!.

აი სწორედ ამას ეთანხმება ჩვენი „ქართლის ცხოვრების „სიტყვა „ესე ფროტატსელნი იყვნენ კაცნი ძლიერნი და მხნენი, ეკრთებოდეს (ებრძოდნენ) ქვეყანასა რომისასა“. ამ მეშვიდე მრდატს და მათ წინაპართ ქართველთ მოდგმად სდებს ულიო აფრიკანო თავის დროთ აღწერაში; ამისგან აუღია მოსე ხორენელს და მ. მ. ჩამჩიანიცა სწერს თავის თათრულს ქალიზარის ისტორიის 50 გვერდზედ ქართველ თავადად და პონტოს მეფედ.

იაზონი წოდება და აზნაურნი მოგვაგონებენ ჩვენ 1200 წლის წინად ყოფილს ქრისტეზედ იმ ზღაპრულს პირველს იაზონსა, რომელიც საბერძნეთის გმირებით მოვიდა ქოლხიდაში, ესტუმრა ოტია მეფესა და დაშთა რამდენიმე წელს, დღე ყოველ ამხიარულებდა ოლიმპიურის ვარჯისითა და ძასთან ეწაფებოდა ქართულს ენასა, ყოფა-ქცევასა და გაწყობასა, რომლითაც მიიქცია ოტიას ქალის მედიას ყურადღება თავის ზედა და ძალად შეაყვარა თავი; მისი წინამძღოლობით გაიტაცა ოქროს მატყლოსანი და თავათ მედიაც გაიტყვილია.

იმ დღიდგან ოლიმპიურს ვარჯისში დახელოვნებულ ყმაწვილ კაცთა ეწოდათ „აზნაური“, ე. ი. იაზონისავით გავარჯისებული ყოველ გვარს ოლიმპიურს მღერა, მიხვრა-მოხვრაში. მით ყოველს მხედართ მოთავეს უწოდდნენ მუდამ აზნაურსა.

იქმნება იმ დიდი ალექსანდრესაგან დატოვებულ მაკედონელთ მოთავესაც სწოდებოდეს იაზონი, მაგრამ ჩვენში აზნაური წოდება პირველისაგან დაშთენილია და არა თუ უკანასკნელისაგან. ჩვენი „ქართლის ცოვრება“ ალექსანდრეს შემდგომ გვაჩვენებს პირველ მეფედ ფარნავაზსა. მაგრამ მსოფლიო ისტორია, ბერძნული ზღაპრები და ებრაელების წინასწარმეტყველნი ფარნავაზზედ ბევრი საუკუნობის წინად გვაჩვენებენ ჩვენს ძლიერ ხელმწიფურს განწყობილებასა.

მაგალითად, ბერძნები იხსენიებენ მედიას მამას ოტიას მეხუთე მზედ (მეფედ და ქურუმად). თქმა არის, მის წინად ოთხნი კიდე სხვა მეფეები მსხდარან მის მოდგმისა. მსოფლიო ისტორია 600 წლის წინად გვაჩვენებს ნაბუქოდონოსორის მამასა ნაბუპოლოსარსა კლარჯსა, რომელიც გარდავიდა თავისთან გაყვანილი მხედრობით ბაბილოვანს, დაამარცხა სარაკოს მეფე და თვითან გახელმწიფდა ბაბილოვანში. იმ დროსვე სწერს მზეკიელ წინასწარმეტყველი: „ძეო კაციასაო! ბანიმტკიცე პირი შენი ბოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგისა! მთავარს როსს, მოსოხს და თობელსა და წინასწარმეტყველამდინ მას ზედა. ამათ იტყვის უფალი ღმერთი: „ბარე მოგაქცია შენ მრგველივ და მივსცე აღვირი ღაწვთა შენთა და შეეკრიბო შენ და ყოველი ძალი შენი და ცხენნი და ცხენოსანნი შენნი, შემმოსველნი საჭურველთანი. ლჰ.“

აგრეთვე ძაენეფონმა ნახა 400 წლით წინ ქრისტეზედ მეფე, ომში გავარჯისებული და მიწის შემმუშავებელი ერი...

მაშა სადამე ალექსანდრე მაკედონელის დროსაც საკმაოდ წარმატებულნი ვიქმნებოდით სამხედროდ და სამოქალაქოდ.

როგორც გვაჩვენა ქვინტ ქურცმა, მესხების მიდამოთ გზა-კვლების ჩაქსაქსვა და ძლიერი წყობა: მოსტაცეს ბუკეფალი და კინალამ დაამარცხეს დიდი ალექსანდრე მაკედონელი...

ვინმე მესხი

15 ქრასტეშობისთვეს, ქ. ახალციხე

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა ბ რ ი ქ უ რ ო - ვ ი ს კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები თ ქ მ უ ლ ი
გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.
ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნაღდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქვე ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. გოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ.

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭვდიდან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. კერესელიძის ლექსების გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან
ფასი ყველგან 50 კაპ.

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ვინც ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი
შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

მომავალ 1879 წელს
რუსული ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„თფილისის მოამბე“

(ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ)

გამოვა იმავე პროგრამმითა და იმავე თანამშრომელების მონაწილეობის მიღებით, როგორც წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

	გაუგზავნელად მან. კაპ.	გაგზავნით მან. კაპ.
ერთის წლით — — — — — —	11— „	12— „
ნახევარ წლით — — — — —	6— „	6—50
სამი თვით — — — — — —	3—50	4— „
ერთის თვით — — — — — —	1—25	1—50

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, № 3.

ქალაქს გარეშე მცხოვრები ამ ადრესსით დაიბარებენ გაზეთს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Т и ф л и с с к а г о В ѣ с т н и к а“.

ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი.

მიმოხილვა

(ОБЗОРЪ)

გამოიცემა თფილისში 1879 წელსა ამავე პროგრამმითა, მიმართულებით, ამავე ვადებში და ამავე სიგრძით, როგორც 1878 წელს გამოდიოდა.

ხელ-მოსაწერი ფასი, გაგზავნით და მიტანით: წელიწადში—15 მან., ნახევარ წლის—8 მან., სამი თვის—4 მან. 25 კ. და ერთის თვით—1 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ხუთ-ხუთი მანეთი შემოიტანოს პირველს იანვარს აპრილსა და აგვისტოს.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში ქ. თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, სახლს № 7. ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ადრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ г. Тифлисъ, въ Редакцію газеты „Обзоръ“.

რედაქტორი ნ. ნიკოლაძე.

დამარხვა

ვისაც ჰსურს თავიანთ მიცვალებულის გასვენების დროს ჰყავდეს მუზიკა იაფ ფასად, შეუძლია მიმართოს ჩეხსლავიანურ ორკესტრის დირექტორს უფ. მატუშეკს, რომელიც ცხოვრებს მუხრანსკის ქუჩაზედ, სახლის № 27.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალ-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 19 დეკემბერს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	95
ფქვილი წითელი . . .	1	70
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	40
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	20
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, გროც. ფუთი .	8	40
— ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	13	—
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—სნებით და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—სნებით ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.